

**ანგარიში ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ
2020 წლის 01 იანვრიდან - 01 დეკემბრამდე პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ**

ქ. ახალციხე

2020 წელი

პატივცემულო საზოგადოებავ, ძვირფასო საკრებულოს წევრებო,
ქალბატონებო და ბატონებო

ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2020 წლის 01 იანვრიდან - 01 დეკემბრამდე პერიოდში გაწეული სამუშაოს ამსახველი ანგარიში.

ვხელმძღვანელობდით რა საქართველოს კონსტიტუციით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტებით, საკრებულოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიამ, მისი თითოეული მოსამსახურის გვერდში დგომითა და თავდაუზოგავი შრომით შეძლო ღირსეულად ეპასუხა ყველა იმ გამოწვევისათვის, რომელიც დაგვისახა ჩვენმა მოსახლეობამ, იმ რეალობამ, სადაც ყოველდღიურად გვიხდება ყოფნა.

ჩვენი მთავარი პრიორიტეტი ხალხია. გადაწყვეტილების მიღების დროს სწორედ მოსახლეობის აზრია უმნიშვნელოვანესი. მერიის თითოეული ნაბიჯი შესაბამისობაშია მოსახლეობის ინტერესებთან. მუნიციპალიტეტის მერია მიმართავს ყველა ძალისხმევას, რომ საზოგადოება ინფორმირებული იყოს, თუ რას აკეთებს იგი, რა პროექტები იგეგმება და ხორციელდება მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის. ამ მიზნის მისაღწევად მერია აწყობს შეხვედრებს მოსახლეობასთან. ჩვენ მივიღივართ ყველა სოფელში, ქალაქის ყველა ქუჩაზე, რათა მოსახლეობასთან ადგილზე შეხვედრების დროს უკეთ გავიგოთ მათთვის პრიორიტეტული საკითხები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი სწორედ მოსახლეობის მიერ გამოთქმულ პრიორიტეტებზე დაყრდნობით იგეგმება.

კანონიერება, საჯაროობა, კოლეგიურობა, ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანობის პრინციპი და მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულება - ეს ის ძირითადი მიმართულებებია, რომლითაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობს. სწორედ ამ პრინციპების დაცვითა და კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების შესრულებით იწყება თითოეული სამუშაო დღე.

ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანობის პრინციპის დაცვამ, რომელიც გულისხმობს წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოთა ერთ ორგანიზმად არსებობას, ჩამოაყალიბა ეფექტური მენეჯმენტი და საფუძველი ჩაუყარა სწორ ადმინისტრირებას.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს რეაგირებას მოქალაქეთა მომართვებზე. მიუხედავად იმისა, რომ განსაზღვრულია მოქალაქეთა მიღების კონკრეტული დღეები, მუნიციპალიტეტის მერი და სრული კოლექტივი ყოველდღიურად ახდენს რეაგირებას მოქალაქეების მხრიდან შემოსულ ზეპირ და წერილობით მომართვებზე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული წყობა, მისი საქმიანობის მიმართულებები მაქსიმალურადაა მორგებული ჩვენი მოსახლეობის ინტერესებს. ყურადღების მიღმა არ დარჩენილა არც-ერთი სფერო, სადაც კი იკვეთება ჩვენი მოსახლეობისთვის საჭირობო საკითხები.

მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად თანამშრომლობს მედია და არასამთავრობო სექტორებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან. ჩვენ გაგვაჩნია მუდმივი მზაობა, ვიქონიოთ კომუნიკაცია და თანამშრომლობა ყველა იმ ორგანიზაციასთან, თუ კერძო პირთან, ვინც მზადაა ჩვენთან ერთად უკეთესობისკენ შეცვალოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური და ეკონომიური სტატუსი. თავის საქმიანობაში, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია აბსოლუტურად გამჭვირვალეა და ეს ჩვენს ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

მუნიციპალიტეტის მერია აერთიანებს მერს, მერის პირველ მოადგილეს, მერის ორი მოადგილეს და 9 სტრუქტურულ ერთეულს, რომლებიც თავისი ფუნქციურ დანიშნულებათა მიხედვით, ახორციელებენ დაკისრებულ მოვალეობებს.

წარმოგიდგენთ, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში შემავალი თითოეული სამსახურის მიერ გაწეულ საქმიანობას საანგარიშო პერიოდში.

ადმინისტრაციული და იურიდიული სამსახური

მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და იურიდიული სამსახური შედგება 8 განყოფილებისაგან, ესენია:

- საქმის წარმოების განყოფილება;
- ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;
- საორგანიზაციო განყოფილება;
- საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის განყოფილება;
- ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება;
- სოციალურ საკითხთა განყოფილება;
- გენდერული თანასწორობის განყოფილება;
- იურიდიული განყოფილება.

მერიის ადმინისტრაციული და იურიდიული სამსახური, აღნიშნული განყოფილებების მეშვეობით უზრუნველყოფს შემოსული განცხადებებისა და წერილების სათანადოდ გაფორმებას, დოკუმენტის შესრულების კონტროლს და შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადებას, ასევე მუნიციპალიტეტის მერიიდან გასული დოკუმენტაციის სათანადოდ აღრიცხვასა და ადრესატისათვის დროულ გაგზავნას. სამსახურის მთავარი ამოცანაა ადამიანური რესურსების მართვა, საკადრო საკითხები, ჯანდაცვა და სოციალური საკითხები, მერიის მხრიდან საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობა, იურიდიული, გენდერული და საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფა .

საანგარიშო პერიოდში ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია 10 493 სხვადასხვა კორესპონდენცია, მათ შორის:

ვიზიკური პირის განცხადება	-	3 645
ორგანიზაცია/დაწესებულებები	-	6 848

მომზადებული და ადრესატისთვის გადაგზავნილია - 5 715 სხვადასხვა სახის კორესპონდენცია, 5 056 მოხსენებითი ბარათი და 1059 ცნობა.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და იურიდიული სამსახური, მოქმედი კანონმდებლობის, მუნიციპალიტეტის მერიის დებულების, ადმინისტრაციული და იურიდიული სამსახურის დებულების და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად ახორციელებდა კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას.

შესასრულებლად გადმოცემული დოკუმენტზე რეაგირება განხორციელდა დადგენილი წესით – ვადების სრული დაცვით. აღნიშნული სამსახურის მეშვეობით ასევე განხორციელდა 2 373 ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მომზადება/პროექტის განხილვა და შესაბამისი ვიზირება, განხორციელდა 35 ხელშეკრულების მომზადება და განხილვა. სისტემატიური ხასიათით მიმდინარეობდა კონსულტაციების გაწევა მოქალაქეთათვის მათთვის საჭირო სამართლებრივ საკითხებზე. ხდებოდა ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებული კონსულტაციების გაცემა და შესაბამისი დოკუმენტების შეგროვებაში ხელშეწყობა, რამაც მოქალაქეებს გაუმარტივა მათ მიერ მოთხოვნილი განცხადების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

სამსახურის მეშვეობით განხორციელდა მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებებში ცვლილებების შეტანა და მათი მოქმედ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, ისევე როგორც მუნიციპალიტეტის სამოქმედოდ საჭირო სხვა არაერთი ნორმატიული აქტის პროექტის მომზადება და მათი საკრებულოს სხდომაზე წარდგენა.

მუნიციპალიტეტმა საკუთარი უფლებამოსილებებიდან ერთ-ერთ პრიორიტეტულად გამოყო სამოქმედო ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, შემუშავებული იქნა „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი“, რომელიც ძირითად სამოქმედო დოკუმენტად იქცა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებისათვის. აღნიშნული განყოფილებების მიერ დამუშავებული საკითხების განხილვა ხდებოდა „ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების მიზნობრივად გაცემის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის“ მიერ.

„ახალციხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესით“ განსაზღვრული პროგრამებით, 2020 წლის 01 იანვრიდან 01 დეკემბრის მდგომარეობით, ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულმა 19 554-მა ბენეფიციარმა მიიღო 906 340 ლარის ოდენობის დახმარება.

შემდეგი მიმართულებებით:

ლონისძიების დასახელება	განხილულია
ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურებების დაფინანსება	970 ბენეფიციარი
	459 000 ლარი
ა.ა.ი.პ სამუსიკო და სამხატვრო სკოლების მოსწავლეთა სწავლის გადასახადის დაფინანსება	238 ბენეფიციარი
	23 000 ლარი
ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	335 ბენეფიციარი
	63 300 ლარი
სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება	5 ბენეფიციარი
	1 500 ლარი
ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში მეწყერის შედეგად დაზარალებულ უსახლკაროთათვის ყოველთვიური სოციალური	6 ბენეფიციარი
	9 300 ლარი

დახმარება	
ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ შშმ პირთა სოციალური დახმარება	335 ბენეფიციარი
	82 000 ლარი
ხანძრით დაზარალებულ ოჯახთა დახმარება	9 ბენეფიციარი
	7 900 ლარი
დევნილთა და იძულებით გადაადგილებული პირთა დახმარება (სასურსათო პაკეტი)	100 ბენეფიციარი
	8 000 ლარი
შეჭირვებული მოსახლეობის სოციალური დახმარება სასურსათო პაკეტებით	126 ბენეფიციარი
	18 660 ლარი
დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება	4 ბენეფიციარი
	4 000 ლარი
ვეტერანთა სოციალური დახმარება	31 ბენეფიციარი
	15 820 ლარი
ჰემოდიალიზით მოსარგებლეთა სოციალური დახმარება	22 ბენეფიციარი
	15 880 ლარი
უხუცესთა სოციალური დახმარება	1 ბენეფიციარი
	500 ლარი
შშმ ბავშვთა სოციალური დახმარება	76 ბენეფიციარი
	22 800 ლარი
ბინის ქირით უზრუნველყოფა	2 ბენეფიციარი
	1 800 ლარი
სათნოების სახლის უფასო სასადილოს ბენეფიციართა ოჯახების ფინანსური დახმარება	157 ბენეფიციარი
	7 850 ლარი
ქ. ახალციხეში მგზავრთა გადაყვანის თანადაფინანსება	15 140 ბენეფიციარი
	16 100 ლარი
0-დან 1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების დაფინანსება	3 ბენეფიციარი
	180 ლარი
მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი სოციალური დახმარება	39 ბენეფიციარი
	17 200 ლარი
შშმ პირების რეაბილიტაციის და რეკრეაციის პროექტი ადაპტირებულ გარემოში	10 ბენეფიციარი
	2 150 ლარი
„მწვანე სახლი ახალციხეში“-ბენეფიციართა სერვისების დაფინანსება	15 ბენეფიციარი
	12 100 ლარი

უფასო სასადაილოს მომსახურება	193 ბენეფიციარი
	117 300 ლარი

სულ ჯამი	
ბენეფიციართა რაოდენობა	17 817
დაფინანსების მოცულობა	906 340 ლარი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სფეროს მართვის მიზნით შექმნილი სტრუქტურული ერთეულს. სამსახურის ძირითადი ფუნქციაა თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, მუნიციპალური პროგრამების საფინანსო გაანგარიშება-დასაბუთება, მიღებული ბიუჯეტის შესრულება, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი, მიზანშეწონილი და ეფექტიანი გამოყენება და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგების უზრუნველყოფა,

როგორც მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტისათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა არსებული ფინანსები, რომლის გამოყენებითაც უნდა განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიებები, რაც საწინდარი გახდება ინფრასტრუქტურის განვითარების, ეკონომიკის გაძლიერებისა და სოციალური გარემოს გაუმჯობესებისთვის.

2020 წლის დასაწყისში ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 16 000,0 (თექვსმეტი მილიონი) ლარი. 2020 წლის 01 დეკემბრისთვის კი 29 332,6 (ოცდაცხრა მილიონ სამას ოცდათორმეტი ათას ექვსასი) ლარი.

2020 წლის 01 დეკემბრის მდგომარეობით ბიუჯეტიდან გაიხარჯა 21 334,2 (ოცდაერთი მილიონ სამას ოცდათოთხმეტი ათას ორასი) ლარი, მათ შორის:

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით 8 475,9 (რვა მილიონ ოთხას სამოცდათხუთმეტი ათას ცხრასი) ლარი,
- ადგილობრივი ბიუჯეტიდან 12 858,3 (თორმეტი მილიონ რვაასორმოცდათვრამეტი ათას სამასი) ლარი.

კერძოდ:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის გაიხარჯა 11 495,8 (თერთმეტი მილიონ ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი ათას რვაასი) ლარი, მათ შორის:
 - ✓ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 7 838,2 (შვიდი მილიონ რვაას ოცდათვრამეტი ათას ორასი) ლარი,

- ✓ ადგილობრივი ბიუჯეტიდან 3 657,6 (სამი მილიონ ექვსას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ექვსასი) ლარი.
- დასუფთავება და გარემოს დაცვის კოდში გაიხარჯა - 1 102,7 (ერთი მილიონ ას ორი ათას შვიდასი) ლარი.
- განათლებისთვის გაიხარჯა - 2 687,7(ორი მილიონ ექვსას ოთხმოცდა შვიდი ათას შვიდასი) ლარი.
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის ხელშეწყობისათვის - გაიხარჯა 1 874,1 (ერთი მილიონ რვაას სამოცდათოთხმეტი ათას ასი) ლარი.
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის გაიხარჯა - 1 1 813,5(ერთი მილიონ რვაას ცამეტი ათას ხუთასი) ლარი, მათ შორის:
 - ✓ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 95,8 (ოთხმოცდათხუთმეტი ათას რვაასი) ლარი
 - ✓ ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 087,8 (ერთი მილიონ ოთხმოცდაშვიდი ათას რვაასი) ლარი

2021 წლის ბიუჯეტი კი დაიგეგმა 16 500,0 (თექვსმეტი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით.

ეკონომიკური სამსახური

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახური უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას, განხორციელებას და მუნიციპალიტეტის ქონების მართვას.

სამსახური შეიმუშავებს პროექტებს მერიის მიერ ინვესტიციების მოზიდვის, გარემოს დაცვითი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მყარი ნარჩენების დასუფთავების საკითხების შესახებ. რეაგირებს მოსახლეობის მხრიდან შემოსულ განცხადებებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების სტატუსის, საშემე მერქნის გამოყოფასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სამსახური ახორციელებს რიგ მუნიციპალურ სერვისებზე მოსაკრებლების სახეობის შემუშავებას და შემოსული თანხების მობილიზებას. ეკონომიკური სამსახური ყოველწლიურად აახლებს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების ბაზებს. მიმდინარე წელს სხვადასხვა დანიშნულებისათვის მოთხოვნილ იქნა 52 ერთეული უძრავი ქონება, ამ ეტაპისათვის მუნიციპალიტეტზე რეგისტრირებულია 36 ერთეული, ხოლო სარგებლობის უფლებით გადმოცემულია 2 უძრავი ქონება, დანარჩენ ქონებაზე მიმდინარეობს დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაზე მუშაობა.

მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ მოხდა „ახალციხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“, დადგენილების პროექტის მომზადება და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცება. ასევე მოხდა საპრივატიზაციო ობიექტების ჩამონათვალის (ნუსხის) მომზადება, რომელიც განკარგულების პროექტიც წარდგენილ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად და შესაბამისი წესით, კერძოდ ელექტრონული აუქციონის წესით, მოხდა ერთი ფართის გასხვისება. შემოსული განცხადებების შესაბამისად კი პირდაპირი განკარგვის წესით, ადგილზე შესწავლილ იქნა ობიექტები და 4 იურიდიულ პირზე, საკრებულოს თანხმობით, მიწის ფართები გაცემულ იქნა იჯარის წესით, რომლებიც დადგენილი წესით იხდიან ყოველთვიურ გადასახადს.

მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, არსებული წესის მიხედვით წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე განხორციელდა 6 ბინის პრივატიზაცია.

სამსახურმა უმოკლეს ვადებში შეძლო და განახორციელა ე.წ. სამხედრო ბინების აღწერა, ელექტრონული ბაზის შექმნა, მოხდა კლასიფიცირება პრივატიზებულ და არაპრივატიზებული ბინების, სადაც გამოიკვეთა, რომ 799 ბინიდან მხოლოდ 564 ბინა იყო პრივატიზებული, ხოლო

235 არაპრივატიზებული. მუნიციპალიტეტის შუალდგომლობით განხორციელდა აღნიშნული ბინების, სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია, შემდგომში მოსარგებლე პირებისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით. მოხდა სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის სრული მოთხოვნა/მოძიება და დღეის მდგომარეობით აღნიშნული ბინების უმეტესი ნაწილი, კერძოდ 199 ბინა გადაცემულია მოსარგებლე მოქალაქეების საკუთრებაში, ხოლო დარჩენილ ხარვეზებზე მიმდინარეობს მუშაობა.

ამავე სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფილ იქნა 40 ხელშეკრულების გაფორმება იურიდიულ პირებთან დასუფთავების მოსაკრებლის შესახებ. ადგილობრივ ბიუჯეტში მოსაკრებლის სახით შემოსულია 112 200 ლარი, მათ შორის იურიდიული პირებიდან 107200, ხოლო ფიზიკური პირებიდან 5000 ლარი;

საანგარიშო პერიოდში მიწის იჯარიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 39700 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვების სამსახური

სახელმწიფო შესყიდვების სამსახური წარმოადგენს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის იმ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალური შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვას, შესყიდვის პროცედურების კანონიერების დაცვას, კონკურენტული გარემოს შექმნას, შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობას და მუნიციპალიტეტის მატერიალურ უზრუნველყოფას.

მოგახსენებთ, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებულმა, მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ, რომელსაც თავმჯდომარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი, საანგარიშო წლის პერიოდში, ჩაატარა **96 სატენდერო კომისია და გადაწყვეტილება იქნა მიღებული 171 ტენდერის** გამოცხადებისა და მისი პროცედურებისათვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღების შესახებ, მათ შორის:

- ✓ 111 ტენდერზე გაფორმდა ხელშეკრულება;
- ✓ 1 ტენდერზე მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები;
- ✓ 59 ტენდერი დასრულდა სხვადასხვა სტატუსით (არ შედგა, შეწყვეტილი, დასრულდა უარყოფით შედეგით);

2020 წლის 01 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო შესყიდვების გეგმა განისაზღვრა 20 417 238 ლარით, გეგმის შესაბამისად განხორციელდა შემდეგი შესყიდვები:

- ✓ დღეის მდგომარეობით გაფორმებულია 302 ხელშეკრულება ღირებულებით 17 055 464.84 ლარი. აქედან:
 - 107 ხელშეკრულება (141 ობიექტზე) - 14 069 194.33 ლარის ღირებულების გაფორმდა ინფრასტრუქტურის განხრით, 3 ობიექტზე კი - ღირებულებით - 289 990 ლარი, მიმდინარეობს ტენდერით გათვალისწინებული პროცედურები.

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური არის მუნიციპალიტეტის მერიის ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მერიის უფლებამოსილებას მიკუთვნებული სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, დასახლებების დაგეგმარებისა და მშენებლობის საკითხების კოორდინაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, კეთილმოწყობის წესებისა და გარე იერსახის კეთილმოწყობაზე ზრუნვას.

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურისა და ზედამხედველობის სამსახურის მიერ აქტიურად მიმდინარეობს მოსახლეობის მხრიდან

შემოსული წერილების განხილვა ადგილზე გასვლით და მოსახლეობის მიერ დასმული პრობლემების გადაწყვეტა.

აღნიშნულ პერიოდში გაიცა 77 სანებართვო პირობა, მოხდა 47 ობიექტის ვარგისად აღიარება (ექსპლუატაცია) და 1 ობიექტის ლეგალიზება.

მიმდინარე წლის განმავლობაში ინსპექტირების ჯგუფი აქტიურად უწევდა ზედამხედველობას მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ტენდერების მიხედვით სამშენებლო ობიექტებზე მიმდინარე სამუშაოებს, ასევე სამსახურები კონტროლს უწევენ საზედამხედველო ორგანო შპს „კრიზოლითი +“-ს მიერ ჩატარებულ სამუშაოებს.

ჩვენი სპეციალისტები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ტრენინგებზე, აღნიშნული ტრენინგებიდან მიღებული ცოდნა სპეციალისტებმა წარმატებით გამოიყენეს ყოველდღიურ სამსახურებრივ საქმიანობის შესრულებაში, რამაც გაზარდა მუშაობის ხარისხი.

2020 წელს აქტიურად მიმდინარეობდა საცხოვრებელი სახლების ფასადებისა, საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, მოეწყო გარე განათების ახალი ქსელები. ასევე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე მიმდინარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

ზემოთაღნიშნულ პერიოდში მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს გააჩნდა დაფინანსების 6 წყარო, რომელთა სავარაუდო ღირებულება შეადგენს:

- 1) ადგილობრივი ბიუჯეტი - 3 999 664 ლარი.
- 2) რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი - 7 618 017 ლარი.
- 3) განათლება - 1 032 363 ლარი.
- 4) სტიქიის სალიკვიდაციო - 170 810 ლარი.
- 5) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 1 378 126 ლარი.
- 6) მთის ფონდი - 53 0570 ლარი.

(წარმოდგენილ ანგარიშს დანართის სახით თან ახლავს, მუნიციპალიტეტის მხრიდან 2020 წელს შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია)

განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური

მოგახსენებთ, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური მუშაობას წარმართავს წლის დასაწყისში დამტკიცებული სამუშაო გეგმის მიხედვით. გეგმა კი ორიენტირებულია მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული, კულტურული და სპორტული მიმდინარეობის განვითარებისაკენ.

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, მოსახლეობის და მათ შორის ახალგაზრდების მზაობა, მუნიციპალიტეტის მხრიდან გადაწყვეტილების მიღებისა და ბიუჯეტირების პროცესში, მონაწილეობის მიღების შესახებ. კულტურის სამსახურმა შეიმუშავა და საკრებულოს მხრიდან დამტკიცებულ იქნა 2020-2022 წლის ახალგაზრდული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც ორიენტირებულია ახალგაზრდების

საჭიროებებისა და ინტერესების დაკმაყოფილებაზე, შემუშავდა შიდა სამოქმედო გეგმა ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისა და ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად.

საანგარიში წლის პერიოდში ზემოხსენებული სამსახურის უშუალო მონაწილეობით ჩატარდა 41 ღონისძიება აქედან:

- კულტურისა და განათლების განყოფილების მიერ 19 ღონისძიება. წლიური სამუშაო გეგმით გათვალისწინებული იყო 215 000 ლარი საიდანაც გაიხარჯა 87 834,36 ლარი.
- ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილების მხრიდან ჩატარდა 7 ღონისძიება. წლიური სამუშაო გეგმით გათვალისწინებული იყო 74 000 ლარი საიდანაც გაიხარჯა 17 536,12 ლარი.
- სპორტული პროგრამების განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა 15 სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიება. წლიური სამუშაო გეგმით გათვალისწინებული იყო 63 000 ლარი. საიდანაც გაიხარჯა 24 612,21 ლარი.

კულტურის სამსახურმა ჩატარებული ღონისძიებების საშუალებით შეძლო:

- წარმატებული ადამიანები კიდევ ერთხელ წარედგინა საზოგადოებისათვის და დაეფასებინა მათი ღვაწლი.
- შშმ პირებთან აქტიური ურთიერთობით, შეძლო მათ თავი ეგრძნოთ საზოგადოების სრულფასოვლებიან წევრებად.
- ხელი შეუწყო ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას.
- წარმატებულ ახალგაზრდებს სტიმული მისცა შემდგომი ნაყოფიერი საქმიანობისთვის

გარდა გეგმიური მუშაობისა, სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სკოლის შემდგომი ასაკის ახალგაზრდებთან.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური

ჭაბუკთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა აღრიცხვა მომზადება და გაწვევა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, რეზერვისტთა აღრიცხვა საკონტრაქტო სამსახურისათვის, დოკუმენტების მომზადება პირადი საქმეების შექმნა და შეარაღებულ ძალებში გაწვევა, აქტიური და სამობილიზაციო რეზერვის მომზადება... ეს ის ძირითადი მიმართულებებია რასაც ყოველდღიურად ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური უზრუნველყოფს.

- საანგარიშო პერიოდში ჭაბუკთა პირველადი აღრიცხვისათვის, აღრიცხვაზე აყვანილ იქნა -247 ჭაბუკი.

- მიწერის მოწმობა გაიცა - 124 წვევამდელი.
- გამოძახებული იყო - 250 წვევამდელი საიდანაც გამოცხადდა - 208
- სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩაირიცხა - 60 წვევამდელი.
- დაცვის პოლიციაში - 17 წვევამდელი.
- საკონტრაქტო სამსახურში ჩაირიცხა - 12 წვევამდელი.
- გადავადება მიეცა - 119 წვევამდელს.
- შ.ს.ს. სპეც. აღრიცხვაზე აყვანილია - 39 წვევამდელი.
- შ.ს.ს. სპეც. აღრიცხვაზე მოხსნილია - 23 წვევამდელი.
- შ.ძ.-ში საკონტრაქტო სამსახურში გაწვეულია - 43 რეზერვისტი.
- შ.ძ-დან დათხოვნილია - 15 რეზერვისტი.
- ზღვრული ასაკით რეზერვში ჩაირიცხა - 92 წვევამდელი.
- სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია - 211 რეზერვისტი.
- სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნილია - 68 რეზერვისტი.

სამსახურის ყველა თანამშრომელი მობილიზებულია და ინტენსიურ მუშაობას ეწევა აღრიცხვაზე მყოფ წვევამდელებთან და რეზერვისტებთან, რათა სრულად დაკომპლექტდეს სამობილიზაციო თუ აქტიური რეზერვი და სრულფასოვნად იქნეს შევსებული წვევამდელთა გასაწვევი რაოდენობა.

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური

მიმდინარე წელს, შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური საქმიანობდა შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის 2018-2020 წლების სტრატეგიული და 2020 წლის წლიური გეგმების შესაბამისად.

სამსახურმა მოცემულ პერიოდში დაასრულა წინა წლის გეგმით გათვალისწინებული შპს „კეთილმოწყობის“, ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, ასევე განახორციელდა 2020 წლის გეგმით გათვალისწინებული შემდეგი აუდიტორული შემოწმებები:

- საბიუჯეტი კლასიფიკაციის 06 02 პროგრამული კოდით გათვალისწინებული (სოციალური პროგრამები) ხარჯების სისტემური აუდიტი;
- ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის საქმიანობის სისტემური აუდიტი;

აგრეთვე, შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურმა ჩაატარა არაგეგმიური აუდიტი ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯადაცვის ცენტრში. დასკვნის მომზადების ეტაპზეა, „ახალციხის მუნიციპალიტეტის მივლინების ხარჯები“-ს სისტემური აუდიტი.

აღნიშნული სამსახური მიმართულია ორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესებისკენ, მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისა და მისი ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ. დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას. სწორედ ამ მიზნით სამსახურის მიერ

ჩატარებული აუდიტების ფარგლებში შესასრულებლად გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის თანამშრომლები საქმიანობის სრულყოფის მიზნით სისტემატურად არიან ჩართული ფინანსთა სამინისტროს შიდა კონტროლის დეპარტამენტის (ჰარმონიზაციის ცენტის) და სახელმწიფო აუდიტის ინსტიტუტის სხვადასხვა აქტივობებში. მიმდინარე წელს სამსახურის თანამშრომლებმა წარმატებით დაასრულეს რისკზე ორიენტირებული შიდა აუდიტის სასერტიფიკაციო კურსი, რომლის ფარგლებშიც შეისწავლეს შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, თანამედროვე მიდგომები და ტექნიკები.

მიმდინარე ეტაპზე შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური მუშაობს რისკზე ორიენტირებული 2021-2023 წლების სტრატეგიული და 2021 წლის წლიური გეგმების შემუშავებაზე.

დასკვნითი ნაწილი

ჩვენი მოსახლეობის მხრიდან გამოჩენილი მხარდაჭერა, ჩვენს მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობა, მერიის კვალიფიციური ადამიანური რესურსები, გვადლევს იმის საფუძვლიან იმედს, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია მომავალში შეეჭიდება და დაძლევს უფრო დიდი და საპატიო სიმალეებს.

ახალციხის მუნიციპალიტეტის თითოეული თანამშრომელი მოწოდებულია, რომ ჩვენს მიერ გაცემული ყოველი დაპირება პრაქტიკულად იქნეს ხორცშესხმული ცხოვრებაში და მერიამ, მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან, სამოქალაქო სექტორთან, სხვადასხვა პარტნიორთან ერთობლივი თანადგომით უკეთესობისკენ შეცვალოს ჩვენი მუნიციპალიტეტის აწმყო და უახლოესი მომავალი.

გმადლობთ ყურადღებისთვის!



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება



განკარგულება:გ-13.13203495

თარიღი:14/12/2020

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა - შეფასების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული
კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2020 წელში (01 დეკემბრამდე პერიოდში) გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში შეფასებულ იქნას დადებითად.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში.
(მისამართი: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N62).

გელა ნოზაძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ, 2020 წელს შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია

N	სოფელი	პროექტის დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება	სამუშაოს დაწყების თარიღი	სამუშაოს დასრულების თარიღი
1	გიორგიწმინდა	გარე განათების მოწყობა	22035,14	08.09.2020	14.10.2020
2	ფერსა	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	15980,28	25.06.2020	21.08.2020
3	ფერსა	გარე განათების მოწყობა	6951,47	22.07.2020	20.08.2020
4	მუგარეთი	შიდა გზების რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	109601,66	19.10.2020	04.05.2021
5	კლდე	სკვერის მოწყობა	31029,00	05.11.2020	25.12.2020
6	წნისი	სკვერის მოწყობა	23800,00		
7	ტატანისი	ამბულატორიისთვის შენობის რეაბილიტაცია	19356,01		
8	სვირი	შიდა გზების რეაბილიტაცია	30993,14		
9	ბოგა	შიდა გზების რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	18299,99		
10	ღრელი	სარწყავი არხის რეაბილიტაცია	22432,99	05.08.2020	10.09.2020
11	ჭაჭარაქი	სარწყავი არხის რეაბილიტაცია	22935,80		
12	მინაძე	არსებული ხიდის რეაბილიტაცია	30806,31	16.07.2020	30.10.2020
13	ხეოთი	სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია	22054,00	04.06.2020	31.07.2020

14	მუსხი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია და საზოგადოებრივი საპირფარეოს მოწყობა	24334,88	15.06.2020	11.08.2020
15	ურაველი	საზოგადოებრივი საპირფარეოს მოწყობა და ამბულატორიის ეზოს კეთილმოწყობა	30444,05	21.07.2020	02.09.2020
16	წყორძა	სანიაღვრე არხის მოწყობა	14500,00	23.06.2020	19.08.2020
17	წყორძა	გარე განათების გაგრძელება	4660,19	23.06.2020	19.08.2020
18	ანდრიაწმინდა	გარე განათების გაგრძელება	4300,00	23.06.2020	19.08.2020
19	ანდრიაწმინდა	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	14498,55	25.06.2020	21.08.2020
20	ანდა	შიდა გზების რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხის მოწყობა	23007,68	17.11.2020	02.06.2021
21	წირა	სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	30747,85	23.06.2020	16.09.2020
22	მიქელწმინდა	გარე განათების მოწყობა	18462,86	15.06.2020	14.07.2020
23	წყურუთი	შიდა გზების რეაბილიტაცია	160199,64	01.12.2020	16.07.2021
24	ანი	საბავშვო ბაღისათვის შენობის რეაბილიტაცია	23850,00	26.10.2020	24.11.2020
25	ჭვინთა	გარე განათების მოწყობა	18828,43	15.06.2020	14.07.2020
26	ელაწმინდა	გარე განათების მოწყობა	15581,33	15.06.2020	14.07.2020
27	ივლიტა	სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია	12002,68	05.08.2020	03.09.2020
28	ივლიტა	გარე განათების გაგრძელება	10865,49	22.07.2020	20.08.2020
29	ზემო სხვილისი	გარე განათების მოწყობა	19103,72	24.06.2020	06.08.2020
30	ზემო სხვილისი	ამბულატორიის შენობის კიბისა და სახურავის შეკეთება	2050,00	24.06.2020	06.08.2020
31	სხვილისი	არსებული ხიდის რეაბილიტაცია	37448,16	30.07.2020	23.10.2020
32	ვალე	არსებული ხიდის რეაბილიტაცია	38578,93	16.07.2020	30.10.2020
33	წინუბანი	შიდა გზების რეაბილიტაცია	23748,00	25.09.2020	09.11.2020
34	აბათხევი	გარე განათების გაგრძელება	15085,85	23.06.2020	05.08.2020
35	ჯულა	შიდა გზების რეაბილიტაცია	28546,70	19.10.2020	04.05.2021
36	წყალთბილა	შიდა გზების რეაბილიტაცია	31580,00	04.09.2020	19.10.2020
37	ნაოხრები	სკვერის მოწყობის გაგრძელება	30489,34	17.08.2020	29.09.2020
38	ხაკი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	18211,99	05.10.2020	03.11.2020
39	დიდი პამაჯი	გარე განათების გაგრძელება	19970,93	23.06.2020	22.07.2020
40	დიდი პამაჯი	ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია	9888,27	05.08.2020	03.09.2020
41	პატარა პამაჯი	არსებული სკვერის ღობის მოწყობა	7122,81	23.06.2020	19.08.2020
42	პატარა პამაჯი	გარე განათების გაგრძელება	24850,08	23.06.2020	19.08.2020
43	პატარა პამაჯი	გარე განათების გაგრძელება	4500,08	07.07.2020	19.08.2020

44	ორალი	შიდა გზების რეაბილიტაცია	29224,09	17.11.2020	02.06.2021
45	ორალი	სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	15324,36	17.11.2020	02.06.2021
46	ყულალისი	შიდა გზების რეაბილიტაცია	28774,14	19.10.2020	04.05.2021
47	საძელი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	17800,00	15.09.2020	28.10.2020
48	თისელი	სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია	7996,63	02.09.2020	01.10.2020
49	თისელი	გარე განათების გაგრძელება	9716,82	22.07.2020	20.08.2020
50	ტყემლანა	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	22006,43	03.08.2020	08.09.2020
51	აწყური	შიდა გზების რეაბილიტაცია	38500,00	07.07.2020	18.08.2020
52	გურკელი	საყრდენი კედლის მოწყობა	19905,32	16.06.2020	22.07.2020
53	წინუბანი	შიდა გზების რეაბილიტაცია	5412,73	18.06.2020	24.07.2020
54	წინუბანი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	13349,99	16.11.2020	22.12.2020
55	აგარა	შიდა გზების რეაბილიტაცია	23000,02	07.07.2020	18.08.2020
56	საყუნეთი	სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია	30180,85	31.08.2020	06.10.2020
57	ზიკილია	შიდა გზების რეაბილიტაცია	23200,12	07.07.2020	18.08.2020
58	გიორგიწმინდა- მუგარეთი	სოფ.გიორგიწმინდა-მუგარეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.	307874,31	25.02.2020	22.07.2020
59	ანდრიაწმინდა	სოფ.ანდრიაწმინდის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.	379220,56	11.02.2020	08.07.2020
60	წყრუთი-წირა	სოფ.წყრუთი-წირას დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.	410408,00	20.02.2020	12.10.2020
61	აწყური-ტყემლანა	სოფ.აწყური-ტყემლანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.	409997,77	11.02.2020	31.07.2020
62	ქ. ვალე	ქ.ვალეში ე.წ მეორე შახტის დასახლებაში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.	297537,37	25.02.2020	24.08.2020
63	ქ. ახალციხე	ქ. ახალციხეში საცხოვრებელი სახლების (რუსთაველის ქუჩის №101 და №107) ფასადების, სადარბაზოების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.	294665,99	28.02.2020	25.07.2020
64	ქ. ახალციხე	ქ. ახალციხეში საცხოვრებელი სახლების (ასპინძის ქუჩის №36 და რუსთაველის ქუჩის №103) ფასადების, სადარბაზოების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.	335775,48	30.03.2020	24.09.2020

65	ქ. ახალციხე	ქ. ახალციხეში საცხოვრებელი სახლების (რუსთაველის ქუჩის №99 და №99ა) ფასადების, სადარბაზოების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.	349500,00	20.02.2020	17.07.2020
66	ქ. ახალციხე	ქალაქ ახალციხეში, ახალქალაქის გზატკეცილის მიმდებარედ ჩიხების(მონაკვეთი I და მონაკვეთი II) რეაბილიტაცია.	112673,25	03.02.2020	30.06.2020
67	ქ. ახალციხე	ქ. ახალციხეში, პაატა ნათენაძის და შალვა ახალციხელის ქუჩის საფეხმავლო ბილიკების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.	238128,00	17.02.2020	07.09.2020
68	ქ. ახალციხე	ქ. ახალციხეში შოთა რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაცია.	249525,01	20.02.2020	31.08.2020
69	ქ. ახალციხე	ქ. ახალციხეში, მერაბ კოსტავას და ჯაყელის ქუჩაზე არსებული ჩიხების რეაბილიტაცია.	164641,85	19.02.2020	16.07.2020
70	ქ. ახალციხე	ქ. ახალციხეში, მერაბ კოსტავას და ზურაბ დიდიმამიშვილის ქუჩის საფეხმავლო ბილიკების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.	206944,89	28.02.2020	29.09.2020
71	ქ. ახალციხე	ქ. ახალციხეში, პაატა ნათენაძის და მერაბ კოსტავას ქუჩის საფეხმავლო ბილიკების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.	289019,67	17.02.2020	29.09.2020
72	ქ. ახალციხე	ქ. ახალციხეში რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია.	467180,83	18.02.2020	07.09.2020
73	ქ. ახალციხე	ქ. ახალციხეში აბის უბნის დასახლებაში გარე განათების ქსელის მოწყობა.	93705,50	20.02.2020	06.07.2020
74	ქ. ახალციხე	ქ. ახალციხეში "რაბათის უბნის" ტერიტორიაზე (გურამიშვილის და გოგებაშვილის ქუჩებზე) გარე განათების მოწყობა.	111950,46	04.03.2020	06.08.2020
75	ქ. ახალციხე	"რაბათის უბნის" ტერიტორიაზე (ყაზბეგის ქუჩის) გარე განათების მოწყობა.	62727,54	07.04.2020	21.09.2020

76	ქ. ახალციხე	ქალაქ ახალციხეში (ახალქალაქის ჩიხისა და წმ.დავით და კონსტანტინეს ქუჩებზე) და ქალაქ ვალეში (გოგებაშვილის, კაკაჩიშვილის და აღმაშენებლის ქუჩებზე) გარე განათების მოწყობა.	26955,35	27.03.2020	08.07.2020
77	ქ. ახალციხე	ქ. ახალციხეში შოთა რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაცია (III ეტაპი).	1068220,00	13.05.2015	30.10.2020
78	ქ. ახალციხე	ქ. ახალციხეში, 9 აპრილის ქუჩის რეაბილიტაცია.	653000,00	13.05.2015	21.09.2020
79	წყრუთი	სოფელ წყრუთში საბავშვო ბაღის მშენებლობა. <u>მრავალწლიანი შესყიდვა 2020-338000ლ, 2021 - 539157ლ</u>	338000,00	07.10.2020	20.05.2021
80	ქ. ახალციხე	ქალაქ ახალციხეში ნიკოლაძის ქუჩის საყრდენი კედლის მოწყობა.	184520,00	16.11.2020	09.02.2021
81	სხვილისი	სოფელ სხვილისის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. <u>მრავალწლიანი შესყიდვა 2020-150000ლ, 2021 - 219295ლ</u>	150000,00	26.10.2020	08.06.2021
82	წნისი	სოფელ წნისის სასმელი წყალის შიდა ქსელის რეაბილიტაცია.	206786,00	26.10.2020	20.01.2021
83	თისელი	სოფელ თისელის სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია.	126172,05	15.09.2020	09.12.2020
84	პატარა წირა	სოფელ პატარა წირაში სასმელი წყლის რეზერვუარის მშენებლობა.	52346,73	10.09.2020	06.11.2020
85	მუგარეთი	სოფელი მუგარეთის სასმელი წყლის მაგისტრალური მილსადენის მოწყობა. <u>მრავალწლიანი შესყიდვა 2020-210000ლ, 2021 - 613238</u>	210000,00	11.11.2020	24.06.2021
86	ანი	სოფელი ანის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.	89300,00	16.09.2020	10.12.2020
87	ქ. ახალციხე	ქალაქ ახალციხეში, ასპინძის ქუჩის მიმდებარედ (მიმდებარედ მარჯვენა მხარეს ჩიხის და #2 საჯარო სკოლასთან მისასვლელი) და საფარის ქუჩაზე არსებული ჩიხების სარეაბილიტაციო სამუშაოები.	141425,91	09.07.2020	21.12.2020
88	თისელი	სოფელ თისელის სასმელი წყლის შიდა ქსელის (მოსახლეობასთან მისაყვანი) რეაბილიტაცია.	28333,00	16.11.2020	29.12.2020

89	კლდე	სოფელ კლდეში სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია.	289978,43	08.07.2020	25.12.2020
90	ჭვინთა, ელიაწმინდა და წყრუთი	სოფლების ჭვინთის, ელიაწმინდის და წყრუთის (წირას) სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.	240592,00	20.10.2020	13.01.2021
91	წყალთბილა	სოფელ წყალთბილაში დამცავი კედლის მოწყობის სამუშაოების უზრუნველყოფა	170809,86	16.09.2020	18.12.2020
92	გურკელი	სოფელ გურკელის საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობა.	83687,00	02.09.2020	17.12.2020
93	ქ. ვალე	ქ. ვალეში #2 საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობა.	71715,01	03.09.2020	30.11.2020
94	მუსხი	სოფ. მუსხის და ხეოთის საჯარო სკოლების სველი წერტილების მოწყობა.	127000,00	02.09.2020	17.12.2020
95	ნაოხრები	სოფ. ნაოხრების სკოლის სველი წერტილის და სოფ.საძელის საჯარო სკოლის ცენტრალური გათბობის მოწყობა.	89547,45	11.09.2020	20.11.2020
96	ანდრიაწმინდა	სოფ. ანდრიაწმინდის საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობა.	74997,82	03.09.2020	19.11.2020
97	ქ. ახალციხე	ქ. ახალციხეში, #3 საჯარო სკოლის შენობის სახურავის რეაბილიტაცია და სოფელ აწყურის საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობა.	88153,00	02.09.2020	29.10.2020
98	კლდე	სოფ. კლდის საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობა.	108994,79	02.09.2020	30.11.2020
99	ფერსა	სოფ. ფერსის საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობა.	87998,66	02.09.2020	30.11.2020
100	მინაძე	სოფ. მინაძის საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობა.	86000,00	02.09.2020	17.12.2020
101	ქ. ახალციხე	ქ. ახალციხის #5 საჯარო სკოლის საქვაბეს და გარე პანდუსის მშენებლობა და მიმდებარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.	105000,00	09.10.2020	21.12.2020
102	ქ. ვალე	ქალაქ ვალის N2 საჯარო სკოლის სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობის, სოფელ ანის საჯარო სკოლის საკვამლე მილის სემონდაჟის და სოფელ წყალთბილის საჯარო სკოლაში სველი წერტილების მოწყობა-რეაბილიტაცია.	41659,00	05.11.2020	15.01.2021

103	ჭვინთა	სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობა.	49800,00	05.11.2020	18.12.2020
104	ქ. ახალციხე	ქალაქ ახალციხეში მე-5-ე საჯარო სკოლაში არსებული სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია.	17810,00		
105	ახალციხის მუნიციპალიტეტი	ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის სამუშაოები.	194840,37	02.03.2020	31.12.2020
106	ქალაქ ახალციხისა და მიმდებარე ტერიტორია	ქალაქ ახალციხისა და მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის სამუშაოები.	149994,79	02.03.2020	31.12.2020
107	ქ. ვალე	ქალაქ ვალეში სატუმბი სადგურის ელექტრო მომარაგებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.	11919,00	30.06.2020	29.07.2020
108	ქ. ახალციხე	ქალაქ ახალციხეში, დიდიმამიშვილის ქუჩა N2-თან მისასვლელი გზისა და ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოები.			
109	ქ. ახალციხე	ქ. ახალციხეში ქუჩებისა და სოფლების: აწყური, სხვილისი, წყალთბილა, ნაოხრები - გარე განათების მოწყობა.	116668,29	25.07.2020	23.10.2020
110	ანდრიაწმინდა და ურაველი	სოფელ ანდრიაწმინდის სასმელი წყლის სისტემის და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის, სოფელ ურაველის საზოგადოებრივი საპირფარეშოს მშენებლობა-რეაბილიტაცია.	62295,00	25.08.2020	16.11.2020
111	ქ. ახალციხე	ქალაქ ახალციხეში 9 აპრილის ქუჩისა და სოფელი კლდის გარე განათების მოწყობა.	42996,01	08.09.2020	04.11.2020
112	ჭვინთა	სოფელ ჭვინთაში სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების უზრუნველყოფა	59612,00	11.09.2020	20.11.2020
113	მუსხი	სოფელ მუსხიში სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების უზრუნველყოფა	60313,00	11.09.2020	20.11.2020
114	კლდე	სოფელ კლდეში სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების უზრუნველყოფა	58888,00	25.09.2020	24.11.2020
115	აწყური და გურკელი	სოფელ აწყურსა და სოფელ გურკელში სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოების უზრუნველყოფა	57200,00	21.10.2020	17.12.2020

116	ანი	სოფელ ანში სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების უზრუნველყოფა	61700,00	16.09.2020	12.11.2020
117	ქ. ახალციხე	ქალაქ ახალციხეში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩის მიმდებარედ სპორტული მოედნის მოწყობა.	78295,00	29.09.2020	25.11.2020
118	ქ. ახალციხე	ქალაქ ახალციხეში, ზარზმელის ქუჩაზე სპორტული სტადიონის და ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მოწყობა.	155413,78	22.09.2020	09.12.2020
119	წყალთბილა	სოფელ წყალთბილის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.	22319,00	16.09.2020	12.11.2020
120	ქ. ახალციხე	ქალაქ ახალციხეში (თამარაშვილის ქუჩა N4-ში, რუსთაველის ქუჩა N125-ში, ხანძთელის ქუჩა N32-ში და ჭყონდიდელის ქუჩა N8-ში) ფანჯატურების მოწყობა.	26118,64	25.09.2020	09.12.2020
121	ახალციხის მუნიციპალიტეტი	ახალციხის მუნიციპალიტეტისათვის სამშენებლო მასალის შეძენის უზრუნველყოფა.	21112,00	19.10.2020	30.10.2020
122	ქ. ახალციხე	ქალაქ ახალციხეში, გამსახურდიას ქუჩის მიმდებარედ(არსებული სასაფლაოს მისასვლელი) საავტომობილო გზის და სოფელ წყრუთის შიდა გზის მოწყობა-რეაბილიტაცია; სოფლის პროგრამის თანადაფინანსებით) მრავალწლიანი შესყიდვა 2020-149410ლ, 2021 - 106200ლ	149410,00	01.12.2020	16.07.2021
123	ყულალისი,ჯულდა და მუგარეთი	სოფელ ყულალისში, სოფელ ჯულდაში და სოფელ მუგარეთში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (სოფლის პროგრამის თანადაფინანსებით) მრავალწლიანი შესყიდვა 2020-99321 ლ, 2021 - 67601ლ	99321,00	19.10.2020	04.05.2021
124	ანდა, დიდი პამაჯი, ორალი	სოფელ ანდაში და სოფელ დიდ პამაჯში შიდა გზების, სოფელ ორალში სანიაღვრე არხის და შიდა გზის მოწყობა-რეაბილიტაცია; (სოფლის პროგრამის თანადაფინანსებით) მრავალწლიანი შესყიდვა 2020-117556ლ, 2021 - 125286 ლ	117556,00	17.11.2020	02.06.2020
125	სვირი და ბოგა	სოფელ სვირში და ბოგაში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია; (სოფლის პროგრამის თანადაფინანსებით) მრავალწლიანი შესყიდვა 2020-96000ლ, 2021 -153235 ლ			

126	ახალციხის მუნიციპალიტეტი	ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის სამუშაოების უზრუნველყოფა	100000,00	16.10.2020	31.12.2020
127	ურაველი	სოფელ ურაველის სპორტული მოედნის მოწყობა.	33746,00	27.10.2020	09.12.2020
128	ახალციხის მუნიციპალიტეტი	ქალაქ ახალციხისა და მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის სამუშაოების უზრუნველყოფა	49950,00	20.10.2020	31.12.2020
129	ქ. ახალციხე	ქალაქ ახალციხეში, კეცხოველის ქუჩა N6-ში მდებარე სამხატრო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველყოფა. <i>მრავალწლიანი შესყიდვა 2020-97000ლ, 2021 - 178520ლ</i>	97000,00	16.11.2020	29.06.2020
130	სხვილისი	სოფელ სხვილისის შიდა საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. <i>მრავალწლიანი შესყიდვა 2020-50000ლ, 2021 - 63367ლ</i>	50000,00	05.11.2020	21.05.2021
131	სხვილისი	სოფელ სხვილისის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.	34060,00		
132	ანდრიაწმინდა	სოფლ ანდრიაწმინდაში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციისათვის საჭირო მასალის (მილის) შეძენა.	5200,00	03.12.2020	17.12.2020
133	ქ. ახალციხე	ქ. ახალციხის #3 საბავშვო ბაღში და სოფლებში: აბათხევში, წნისში და მუსხში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა.	39081,00	02.12.2020	27.01.2021